

**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტრატეგიული
განვითარების გეგმა
2007-2011 წწ.**

I. კრეატიულობა

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი წარმოადგენს საინჟინრო-ტექნოლოგიური და ჰუმანიტარული პროფილის მრავალფუნქციურ უმაღლეს სასწავლო და სამეცნიერო დაწესებულებას, რომელშიც სტუდენტთა, პროფესორ-მასწავლებელთა და სამეცნიერო პერსონალის თანამშრომლობით შექმნილია უმაღლესი აკადემიური განათლების, პროფესიული სწავლებისა და სამეცნიერო კვლევის ერთიანი სივრცე.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი უმაღლეს განათლებას განიხილავს როგორც სწავლების, სწავლის, სამეცნიერო კვლევისა და პროფესიული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბების ჰარმონიულ ერთიანობას, იგი ხარისხის მართვის ეფექტური სისტემის გამოყენებით, სწავლების თანამედროვე მეთოდების დანერგვით უზრუნველყოფს სტუდენტთა აკადემიური და პროფესიული უმაღლესი განათლების მაღალ ხარისხსა და შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანი კურსდამთავრებულების გამოშვებას.

უნივერსიტეტი მხარს უჭერს ევროპული განათლებისა და კვალიფიკაციის დანერგვის ინიციატივებსა და ღონისძიებებს. აქტიურად მონაწილეობს ბოლონის პროცესში და ხელმძღვანელობს ევროპული უნივერსიტეტების შესახებ დიდი ქარტიის პრინციპით.

II. უნივერსიტეტის მიზანი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტრატეგიული მიზანია თანამედროვე მოთხოვნების შესატყვისი კომპეტენციის მქონე, საერთაშორისო შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება.

უნივერსიტეტის სასწავლო, სამეცნიერო, ინოვაციური და მმართველობითი საქმიანობის ძირითადი მიზნებია:

- სასწავლო-საგანმათლებლო საქმიანობაში: საზოგადოებისა და სახელმწიფო მოთხოვნების დაკმაყოფილება უმაღლესი განათლების მქონე კვალიფიციურ

სპეციალისტებსა და სამეცნიერო-პედაგოგიურ კადრებზე, რომლებიც აქტიურად შეუწყობენ ხელს საქართველოში ეკონომიკურ ზრდას, ბუნებრივი გარემოს დაცვასა და გონივრულ გამოყენებას;

- სამეცნიერო საქმიანობაში: საქართველოში ფუნდამენტური და გამოყენებითი მეცნიერების განვითარება, სპეციალისტებისა და უმაღლესი კვალიფიკაციის სამეცნიერო-პედაგოგიური კადრების მომზადების ეფექტიანი ამალგა, კონკურენტუნარიანი სამეცნიერო-ტექნიკური პროდუქციისა და მეცნიერებატევადი ტექნოლოგიების შექმნა;
- ინოვაციურ საქმიანობაში უნივერსიტეტში მეცნიერებისა და განათლების სფეროში აუცილებელი პირობების შექმნა სამეცნიერო და საგანმათებლო საქმიანობის უახლოესი შედეგების დანერგვისა და ეფექტიანი გამოყენებითვის;
- მმართველობით საქმიანობაში: საგანმათებლო, სამეცნიერო-კვლევითი, საწარმოო-სამეურნეო, ორგანიზაციულ-ეკონომიკური და საფინანსო საქმიანობის სრულყოფისათვის ხარისხის საყოველთაო მართვის პრინციპების გათვალისწინება, ხარისხის პრობლემების გადაწყვეტა სისტემურ საფუძველზე, მართვის სისტემის დამუშავება საერთაშორისო სტანდარტებზე დაყრდნობით.

უნივერსიტეტის ძირითადი ამოცანებია:

- **სასწავლო-საგანმანათლებლო საქმიანობაში:**

- სამეცნიერო კვლევაზე ორიენტირებული უმაღლესი აკადემიური განათლების მქონე პირების – მაგისტრებისა და დოქტორების მომზადება;
- პრაქტიკული ხასიათის საქმიანობაზე ორიენტირებული უმაღლესი აკადემიური და პროფესიული განათლების მქონე პირების – ბაკალავრებისა და დიპლომირებული სპეციალისტების მომზადება;
- უმაღლესი კვალიფიკაციის სამეცნიერო-პედაგოგიური კადრების მომზადება, უნივერსიტეტის პედაგოგიური შემადგენლობის, პერსონალის პროფესიული განვითარება;
- მრეწველობის სხვადასხვა დარგების ხელმძღვანელი და საინჟინრო კადრების პროფესიული სრულყოფა და გადამზადება;
- უწყვეტი განათლების პრინციპების დანერგვა;
- სტუდენტ ახალგაზრდობაში სამოქალაქო პოზიციის, თანამედროვე ცივილიზაციისა და დემოკრატიის პირობებში შრომისა და ცხოვრების უნარის ფორმირება;

- სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო და სამეცნიერო – კვლევით დაწესებულებებთან, ასევე პროფესიულ ასოციაციებთან თანამშრომლობა, სტუდენტთა და პროფესორთა მობილობის ხელის შეწყობა.

- **სამეცნიერო საქმიანობაში:**

- ფუნდამენტური და გამოყენებითი კვლევების ორგანიზება და ჩატარება მეცნიერებათა ფართო სპექტრში;
- სასწავლო პროცესთან სამეცნიერო საქმიანობის მჭიდრო კავშირის უზრუნველყოფა;
- უნივერსიტეტის პერსონალისა და სტუდენტების ჩაბმა სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებში;
- საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობის განვითარება უნივერსიტეტში მეცნიერებატევადი პროდუქციის შექმნისა და მსოფლიო ბაზარზე გატანის მიზნით;
- სამეცნიერო და სასწავლო საქმიანობის დროს შექმნილი ინტელექტუალური საკუთრების ობიექტების უფლებრივ დაცვაში ხელშეწყობა;
- უნივერსიტეტის სამეცნიერო საქმიანობის საორგანიზაციო, ნორმატიულ-მეთოდური, საინფორმაციო-ანალიზური, მეტროლოგიური და სარეკლამო-საგამოფენო უზრუნველყოფა;
- დადგენილი წესის შესაბამისად ერთობლივი ადგილობრივი და საერთაშორისო სამეცნიერო-საწარმოო ასოციაციებისა და არასამეწარმოო იურიდიული პირების შექმნა.

- **ინოვაციურ საქმიანობაში:**

- უნივერსიტეტისათვის პროფილურ ბაზრებზე საგანმანათლებლო მომსახურების, მეცნიერებატევადი პროდუქციისა და ტექნოლოგიების, აგრეთვე შრომის ბაზრებზე მარკეტინგული და პროგნოზულ-ანალიტიკური კვლევების ჩატარება;
- მეცნიერებისა და განათლების სფეროში ინოვაციური საქმიანობის სტრუქტურისა და ინფრასტრუქტურის განვითარება და სრულყოფა, სამეცნიერო და საგანმანათლებლო პროცესების ორგანიზაციისა და მართვის ინოვაციური პრინციპების დამუშავება და დანერგვა;
- უნივერსიტეტის სტრატეგიულ პარტნიორებთან – სამეცნიერო-საგანმანათლებლო პროფილის დაწესებულებებთან და სამრეწველო საწარმოებთან გრძელვადიანი თანამშრომლობის ორგანიზება და უზრუნველყოფა;

- კონკურენტუნარიანი მეცნიერებატევადი პროდუქციის შექმნაში ხელშეწყობა და საინოვაციო ბაზრებზე მისი გატანის უზრუნველყოფა;
- უნივერსიტეტის ინტელექტუალური საკუთრების ობიექტების კომერციალიზაცია და ჩართვა უნივერსიტეტის სამეურნეო საქმიანობაში;
- ინოვაციური საქმიანობის სფეროში კონსალტინგური მომსახურების გაწევა უნივერსიტეტის ქვედანაყოფებისათვის, პარტნიორების ძიება მეცნიერებისა და განათლების სფეროში ინოვაციური პროდუქტების რეალიზებისათვის;
- კადრების მომზადება ინოვაციური საქმიანობისათვის;
- პერსპექტული კვლევების დაფინანსება შიდასაუნივერსიტეტო გრანტების სისტემის გამოყენებით.

- **მმართველობით საქმიანობაში:**

- უნივერსიტეტის სტრუქტურის ოპტიმიზაცია;
- მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მოდერნიზება მართვის საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად;
- უნივერსიტეტის საქმიანობის ძირითადი სახეობების დაფინანსებისათვის სახსრების მოზიდვის და რაციონალური გამოყენების ეფექტიანი სისტემის შექმნა;
- თანამშრომელთა და სტუდენტთა მონაწილეობის უზრუნველყოფილი გადაწყვეტილების მიღებისა და მათი შესრულების კონტროლის პროცესში;
- მართვისა და კონკურსების საჯაროობის და გამჭვირვალობის უზრუნველყოფა;
- თანამშრომელთა და სტუდენტთა სოციალური პრობლემების გაუმჯობესებაზე ზრუნვა, სპორტისა და ხელოვნების განვითარების ხელშეწყობა;
- საგანმანათლებლო მომსახურებისა და სპეციალისტების მომზადების ხარისხის ამაღლება მსოფლიოს წამყვანი უნივერსიტეტების დონემდე;
- განათლების ხარისხის მართვის სისტემის შექმნა და დანერგვა საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით.

III. უნივერსიტეტის სტრუქტურა

დღეისათვის უნივერსიტეტში არის 9 ფაკულტეტი:

- არქიტექტურის ურბანისტიკის და დიზაინის;
- სოციალურ-ჰუმანიტარული;
- ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციების;

- სამთო-გეოლოგიური;
- ინფორმატიკისა და მართვის სისტემების;
- საამშენებლო;
- ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის;
- სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის;
- საერთაშორისო ნავთობგაზსადენების ექსპლუატაციის.

უნივერსიტეტში ფაკულტეტების რაოდენობა არ არის შეზღუდული არც კანონმდებლობით და არც – უნივერსიტეტის წესდებით.

IV. ბრძელვადიანი ამოცანები (2007-2011 წლები)

ამ ტიპის ამოცანების შესრულება მიზნად ისახავს იმ პროექტების შემუშავებასა და რეალიზებას, რომლებიც უშუალოდ მოემსახურებიან უნივერსიტეტში სწავლებისა და სამეცნიერო კვლევების ხარისხის თვისობრივად ახალ სიმაღლეზე აყვანას, რაც იქნება ევროპის უმაღლესი განათლების ერთიან სივრცეში საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინტეგრაციის ძირითადი გარანტი.

ბრძელვადიანი ამოცანები უნდა განხორციელდეს უნივერსიტეტის საქმიანობის შემდეგ მიმართულებებში:

1. სასწავლო პროცესი;
2. სამეცნიერო მოღვაწეობა;
3. საბიბლიოთეკო და სამუზეუმო საქმიანობა;
4. საგამომცემლო და საინფორმატიზაციო საქმიანობა;
5. საუნივერსიტეტო ინფრასტრუქტურა;
6. საერთაშორისო საუნივერსიტეტო კავშირები;
7. კურსდამთავრებულებთან ურთიერთობა;
8. სოციალური საკითხები, სპორტი, ხელოვნება

1. სასწავლო პროცესი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი არის სტუდენტებისთვის უმაღლესი განათლების მიღებისა და, პარალელურად, სამეცნიერო მოღვაწეობისათვის მოწოდებული ორგანიზაცია. მიღებული უმაღლესი განათლება მატერიალიზდება ბაკალავრის, მაგისტრის და დოქტორის აკადემიური ხარისხების, აგრეთვე უმაღლესი პროფესიული განათლების მქონე დიპლომირებული სპეციალისტის კვალიფიკაციის მინიჭებით.

გასატარებელი ღონისძიებები:

- ხარისხის მართვის სამსახურის შემდგომი სრულყოფა, რომელიც უზრუნველყოფს: სასწავლო პროცესის მიმდინარეობაზე, პროგრამების შექმნაზე, განახლებაზე და შესრულებაზე, სემესტრის განმავლობაში ლექციების, სემინარების, ლაბორატორიული სამუშაოების, შუალედური და საბოლოო გამოცდების მიმდინარეობაზე პერმანენტულ კონტროლს, ინსტიტუციური და პროგრამული აკრედიტაციისათვის მუდმივ მზადყოფნას, სახელმწიფო სააკრედიტაციო სამსახურთან მუდმივ კონტაქტს, საქმიანი კავშირების დამყარებას საზღვარგარეთის მოწინავე უნივერსიტეტების ანალოგიურ სამსახურებთან სასწავლო გეგმების (კურიკულუმების), სასწავლო პროგრამების (სილაბუსების) და სახელმძღვანელოების ჰარმონიზაციის კუთხით და ა.შ.;
- სტუდენტთა ცოდნის დონის შეფასების ECTS-ის მიერ რეკომენდებული სკალის დანერგვა, რომელიც აადვილებს კრედიტთა ტრანსფერის პროცედურას;
- ყველა სპეციალიზაციით ბაკალავრის, მაგისტრის და დოქტორის აკადემიური ხარისხების მიმნიჭებელი საგანმანათლებლო პროგრამების შედგენა, რომელშიც კვლევითი სემენტის წილი უნდა იყოს კრედიტების, დაახლოებით, 25-დან 82%-დე (მაგისტრები $\approx 30-40\%$ და დოქტორები $\approx 82\%$);
- საზღვარგარეთის წამყვან უნივერსიტეტებთან დადებული ხელშეკრულებების საფუძველზე, საერთაშორისო სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ეტაპობრივად დანერგვა;
- უნივერსიტეტში სტუდენტების მიღება იმ განაწესით, რომელიც განათლების კანონითაა განსაზღვრული. ამასთან უნდა დამუშავდეს უნივერსიტეტიდან სტუდენტთა განთესვის დებულება, რომელიც მოქნილ ადმინისტრაციულ და ფინანსურ მენეჯმენტს უნდა ეფუძნებოდეს;

- საზღვარგარეთის მოწინავე უნივერსიტეტებსა და კვლევით ცენტრებში მოღვაწე წარმატებული ქართველი მეცნიერების აღრიცხვისათვის სათანადო მონაცემთა ბაზის შექმნა და საურთიერთობო ინტერფეისის (“საიტის”) დამუშავება მათი და სხვა ცნობილი მეცნიერების პერიოდული მოწვევა ერთჯერადი ლექციების ან სალექციო კურსების ჩასატარებლად;
- საუნივერსიტეტო და საფაკულტეტო კომპიუტერული ცენტრების/კლასების შექმნა, რომლებიც ხელს შეუწყობენ სასწავლო პროგრამებით გათვალისწინებული ლაბორატორიული და პრაქტიკული სამუშაოების ვირტუალური მოდელების შექმნას, აგრეთვე სალექციო კურსების ელექტრონული ვერსიების განთავსებას;
- უწყვეტი განათლების პრინციპების დანერგვის მიზნით, პროფესიული გადამზადების კურსების ჩამოყალიბება საინჟინრო-ტექნოლოგიური სპეციალობების ფართო სპექტრით, აგრეთვე სტუ-ში დამკვიდრებული ზოგიერთი სოციალური და ჰუმანიტარული სპეციალიზაციის განხრით;
- სასწავლო გეგმებში ინგლისური ენის, როგორც მსოფლიოში ერთადერთი უნივერსალური საკომუნიკაციო და სამეცნიერო ენის, რაოდენობრივი და ხარისხობრივი ხვედრითი წილის გაზრდა;
- დისტანციური და ელექტრონული სწავლების ფორმების შემუშავება და, საჭიროებისამებრ, დანერგვა;
- აკადემიური პერსონალის არჩევის ობიექტური სისტემის შექმნა, რომლის ძირითადი ელემენტი იქნება ჯანსაღი საკონკურენტო გარემოს შემქმნელი საკვალიფიკაციო მოთხოვნების ნუსხა;
- ლექტორების მიერ სალექციო კურსების შექმნა ქართულ ენაზე მიმართულებების მიხედვით და განთავსება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე (შესაბამისი ფაკულტეტის მიხედვით).

2. სამეცნიერო მოღვაწეობა

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის თვალსაჩინო სამეცნიერო ტრადიციები გვაავალდებულებს შევინარჩუნოთ და თვისობრივად გავაუმჯობესოთ უნივერსიტეტის მოღვაწეობის სამეცნიერო კომპონენტი. სტუ უნდა გახდეს გამოყენებით მეცნიერებებში ანგარიშგასაწვევი ძალა საერთაშორისო დონეზე, რამაც მიმზიდველი უნდა გახადოს და ფართოდ მოიზიდოს უცხოელი

სტუდენტები. უნივერსიტეტმა სახელმწიფოსთვის, ცოდნაზე დამყარებული ეკონომიკის ჩამოყალიბების პროცესში, უნდა შეასრულოს იდეების და რეალური მიღწევების დონორის როლი.

კვლევითი საქმიანობა სასწავლო პროცესის პარალელური და განუყოფელი მიმართულებაა ბაკალავრიატის, მაგისტრატურის, დოქტორანტურის სტუდენტებისა და ყველა დონის პროფესორისათვის. სამეცნიერო კვლევების შედეგები, უპირველეს ყოვლისა, უნდა ინერგებოდეს სასწავლო აუდიტორიებში ლექციების, სემინარების და ლაბორატორიული სამუშაოების ფორმით. ამასთანავე, გამოყენებითი კვლევების შედეგები უნდა გახდეს ჩვენი აკადემიური პერსონალისთვის დამატებითი შემოსავლის წყარო, რადგან ამ კვლევების მიზანი არის თანამედროვე წარმოებების გამოწვევების მიღება და კონკრეტული, ფასეული შედეგების შეთავაზება მათთვის. მეცნიერული კვლევების დამკვეთი შეიძლება იყოს ცენტრალური ან ადგილობრივი მთავრობები (მიზნობრივი კვლევები, თუ ამას მოითხოვს სახელმწიფო ან რეგიონული ინტერესები), სხვადასხვა ინდუსტრიული და ფინანსური კომპანიები, საქართველოს ეროვნული სამეცნიერო და სხვადასხვა საერთაშორისო სამეცნიერო ფონდი. ყველა ეს ფონდი მოქმედებს საგრანტო პრინციპით.

გასატარებელი ღონისძიებები:

- უნივერსიტეტის სამეცნიერო მოღვაწეობის პრიორიტეტული სფეროების გამოკვეთა ინოვაციური კვლევების ფარგლებში;
- სამეცნიერო მოღვაწეობის პრიორიტეტულ სფეროებში კომპეტენციის ცენტრების შექმნა, რომელთაც ორი ძირითადი მიზანი უნდა გააჩნდეს: ა) შესაბამის სფეროებში ინოვაციური სამეცნიერო მუშაობის ლიდერად გახდომა და ბ) უახლესი ტექნოლოგიური მიღწევების ეკონომიკაში დანერგვა პარტნიორი ინდუსტრიული და ფინანსური კომპანიების საშუალებით;
- საუნივერსიტეტო სამეცნიერო ფონდის შექმნა, რომელიც საგრანტო პრინციპით დააფინანსებს მცირე ინოვაციურ პროექტებს;
- მჭიდრო პარტნიორული ურთიერთობების დამყარება ადგილობრივ და საერთაშორისო ფინანსურ და ინდუსტრიულ კომპანიებთან, ინოვაციური პროექტების დაფინანსების მიზნით;

- ფაკულტეტებზე, თვითდაფინანსების პრინციპით, სხვადასხვა ტიპის სამეცნიერო ცენტრის შექმნა, რომლებშიც გაერთიანდებიან ეროვნული და საერთაშორისო სამეცნიერო გრანტებზე აქტიურად ორიენტირებული პროფესორები და სტუდენტები;
- გამოჩენილი უცხოელი, მათ შორის საზღვარგარეთის წამყვან უნივერსიტეტებსა და სამეცნიერო ცენტრებში მოღვაწე ქართველი მეცნიერების, მოზიდვა სამაგისტრო და სადოქტორო დისერტაციების ხელმძღვანელებად და შემფასებლებად (ოპონენტებად), საგრანტოდ წარსადგენ პროექტებში მონაწილეობის მისაღებად (სამეცნიერო ხელმძღვანელის პოზიციის შეთავაზებითაც კი). ასეთი მიდგომა დააჩქარებს უახლესი სამეცნიერო იდეებისა და ტექნოლოგიების შემოდინებას ჩვენს ქვეყანაში;
- საქართველოში არსებული სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტებიდან პერსპექტული სამეცნიერო ჯგუფების ჩართვა სტუ-ს სამეცნიერო სტრუქტურებში (სამეცნიერო ცენტრები, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები და სხვ.);
- ტექნოლოგიური პარკის შექმნა, სადაც განთავსდებიან მცირე კომპანიები, რომლებიც გაუადვილებენ ინოვაციურ ტექნოლოგიებზე ორიენტირებულ მეცნიერებს თავიანთი სამეცნიერო პროდუქციის რეალიზებას, უზრუნველყოფენ მათი ინტელექტუალური საკუთრებებს დაცვას და კომერციალიზებას;
- წამყვან საერთაშორისო უნივერსიტეტებთან ხელშეკრულებების გაფორმებისას, სამეცნიერო სფეროში თანამშრომლობის პრიორიტეტულად გამოცხადება.

3. საბიბლიოთეკო და სამუზეუმო საქმიანობა

ბიბლიოთეკები და მუზეუმები სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის მომსახურების პრიორიტეტულ სფეროს განეკუთვნება. მათ მიმართ ყურადღება, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს არსებული ცენტრალური და საფაკულტეტო საბიბლიოთეკო და სამუზეუმო ინფრასტრუქტურის და ფონდების განახლებას.

გასატარებელი ღონისძიებები:

- უახლესი ტექნიკით აღჭურვილი საუნივერსიტეტო და საფაკულტეტო ბიბლიოთეკების ინფრასტრუქტურის შექმნა;
- სტუ-ს ბიბლიოთეკის გაწვევრიანება ევროპის საბიბლიოთეკო კავშირში;
- ბიბლიოთეკებისთვის ლიტერატურის (პირველ რიგში მოწინავე ევროპულ და ამერიკულ უნივერსიტეტებში გამოყენებული სახელმძღვანელოების) და პერიოდული გამოცემების ფონდის შექმნა-გამდიდრება;
- მომხმარებლის უშუალოდ წიგნსაცავში დაშვების სისტემის დანერგვა (სამკითხველო მაგიდები წიგნსაცავებში);
- ელექტრონული სააბონენტო სისტემის დანერგვა;
- საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ გამოცხადებულ საბიბლიოთეკო კონკურსებში რეგულარული მონაწილეობა;
- მოწინავე უნივერსიტეტების ბიბლიოთეკებთან პარტნიორული ურთიერთობების დამყარება;
- საუნივერსიტეტო მუზეუმის აღდგენა და მის გამდიდრება-განახლებაზე მუდმივი ზრუნვა;
- ფაკულტეტებზე სპეციალობების ისტორიის ამსახველი მინი-მუზეუმების, როგორც სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილის, შექმნა.

4. საგამომცემლო და საინფორმატიზაციო საქმიანობა

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სახელით გამოშვებული ნაბეჭდი და ელექტრონული პროდუქცია უნდა აკმაყოფილებდეს საერთაშორისო სტანდარტებს, ხოლო კომპიუტერული ქსელი, ტექნოლოგიური და ფუნქციური მოწყობის თვალსაზრისით, უნდა გახდეს ლიდერი საქართველოს საგანმანათლებლო სივრცეში.

გასატარებელი ღონისძიებები:

- საუნივერსიტეტო "საგამომცემლო სახლის" შექმნა;
- საგამომცემლო-სარედაქციო საბჭოს მიერ დასაბეჭდათ რეკომენდებული ლიტერატურისთვის მაღალი კრიტერიუმებისა და ობიექტური პროცედურის შემუშავება;

- საგამომცემლო საქმის თვისობრივად ახალ დონეზე აყვანა, რაც გულისხმობს თანამედროვე ორიგინალური და ნათარგმნი სახელმძღვანელოების, აგრეთვე სხვა ნაბეჭდი პროდუქციის მაღალ პოლიგრაფულ დონეზე გამოშვებას;
- საუნივერსიტეტო სტამბის ტექნიკის მოდერნიზება;
- ერთიანი საუნივერსიტეტო საინფორმაციო სივრცის ჩამოყალიბება;
- ერთიან ევროპულ საგანმანათლებლო კომპიუტერულ ქსელში (GEANT) ჩართვა;
- ელექტრონული სწავლების ფორმების დანერგვა;
- დისტანციური სწავლების ტექნოლოგიების შემუშავება და დანერგვა;
- ცალკეული ავტომატიზებული სისტემის (ბუღალტერია, საგეგმო-საფინანსო ნაწილი, ადამიანური რესურსები, კანცელარია, დეკანატები და სხვ.) ერთ სისტემაში გაერთიანება;
- უნივერსიტეტის სამეურნეო ნაწილის ავტომატიზება (ამჟამად ფუნქციონირებს მხოლოდ არქივის ავტომატიზებული სისტემა);
- ფაკულტეტების ბიბლიოთეკების ავტომატიზებული სისტემების დამუშავება და მათი გაერთიანება ცენტრალური ბიბლიოთეკის ავტომატიზებულ სისტემასთან.

5. საუნივერსიტეტო ინფრასტრუქტურა

საუნივერსიტეტო ინფრასტრუქტურა რთული მექანიზმია, რომელიც უნდა ემსახურებოდეს უნივერსიტეტის ძირითადი მიზნების მიღწევას. ინფრასტრუქტურის უმნიშვნელოვანესი ელემენტებია: სასწავლო კორპუსები, აუდიტორიები, ლაბორატორიები, ცენტრალური და საფაკულტეტო ბიბლიოთეკები, სტამბა, სპორტული, სარეკრეაციო და საზოგადოებრივი კვების ობიექტები, სხვადასხვა დანიშნულების ტექნიკური ობიექტები. მათი მოწესრიგება და ტექნიკურად გადაიარაღება უნივერსიტეტის ძირითადი, სასწავლო-სამეცნიერო, ფუნქციის წარმატებით შესრულების აუცილებელი პირობაა.

გასატარებელი ღონისძიებები:

- სასწავლო აუდიტორიების თანამედროვე დონეზე აღჭურვა;

- უნივერსიტეტის კორპუსებში გათბობის სისტემების დამონტაჟება, ფანჯრების შეცვლა, სველი წერტილების შეკეთება და ა.შ;
- სასწავლო კორპუსების სრული რეაბილიტაცია;
- საუნივერსიტეტო კომპიუტერული ცენტრების/კლასების შექმნა, ცენტრალური მუზეუმის, ბიბლიოთეკისა და საკონფერენციო დარბაზის განთავსება ერთ შენობაში;
- თანამედროვე ელექტრონული ტექნიკით აღჭურვილი სასემინარო (ვორქშოპების) ოთახების მოწყობა ყველა ფაკულტეტზე და ადმინისტრაციულ კორპუსში;
- სპორტული დარბაზებისა და კულტურის ობიექტების სრული რეაბილიტაცია.

6. საერთაშორისო საუნივერსიტეტო კავშირები

საერთაშორისო კავშირების გარეშე შეუძლებელია თანამედროვე უნივერსიტეტის ჩამოყალიბება. სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა ურთიერთგაცვლა, სასწავლო გეგმებისა და პროგრამების ჰარმონიზება, ერთობლივი სამეცნიერო პროექტების შესრულება, მოწინავე უნივერსიტეტების საბიბლიოთეკო ფონდებთან კავშირი, ცნობილი უცხოელი მეცნიერების მოწვევა ლექციების ჩასატარებლად.

გასატარებელი ღონისძიებები:

- დასავლეთის მოწინავე უნივერსიტეტებთან საპარტნიორო ურთიერთობების გაფორმება სასწავლო-სამეცნიერო, აგრეთვე სტუდენტური სპორტისა და ხელოვნების მიმართულებებით;
- პარტნიორი უნივერსიტეტების სასწავლო გეგმებთან და პროგრამებთან ჩვენი გეგმების და პროგრამების ჰარმონიზება;
- პარტნიორი უნივერსიტეტების მონაწილეობით ერთობლივი სამეცნიერო პროექტების დამუშავება (საგრანტო კონკურსებში კოლაბორატორობის ინსტიტუტის გამოყენება და ა.შ.);

- ეროვნულ და საერთაშორისო სამეცნიერო საგრანტო კონკურსებში მონაწილეობისას ცნობილი უცხოელი პროფესორების მოწვევა მეცნიერ-ხელმძღვანელთა რანგში;
- საზღვარგარეთის უნივერსიტეტებისა და სტუ-ს ბიბლიოთეკას შორის საპარტნიორო ურთიერთობების დამყარება ჩვენი საბიბლიოთეკო ფონდის გამდიდრების მიზნით;
- ცნობილი უცხოელი პროფესორების პერიოდული მოწვევა ერთჯერადი ლექციების ან სალექციო კურსების ჩასატარებლად;
- ცნობილი უცხოელი მეცნიერების მოწვევა სადოქტორო ნაშრომების საოპონენტო შეფასებისათვის;

7. კურსდამთავრებულებთან ურთიერთობა

კურსდამთავრებულებთან მჭიდრო კავშირის დამყარება უნდა იყოს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ერთ-ერთ პრიორიტეტული ამოცანა. პრაქტიკულ საქმიანობაში წარმატებულ კურსდამთავრებულებს შეუძლიათ დიდი წვლილი შეიტანონ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წინსვლის საქმეში. ჩრდილოეთ ამერიკის და ევროპის უნივერსიტეტების ფინანსური მდგომარეობა და, აქედან გამომდინარე, წარმატებები მათი ფუნქციონირების სხვადასხვა სფეროში, მნიშვნელოვნად არის განპირობებული ცნობილი კურსდამთავრებულების საქველმოქმედო საქმიანობით.

კურსდამთავრებულებთან მჭიდრო კავშირების დასამყარებლად აუცილებლად მიმაჩნია, მათი ასოციაციის შექმნასა და შემდგომ მოღვაწეობაში, სტუ-ს ადმინისტრაციის აქტიური მოქმედება.

კურსდამთავრებულთა ასოციაციამ უნდა:

- უნივერსიტეტის დასახმარებლად, იდეურად გააერთიანოს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები;
- ხელი შეუწყოს სტუ-სა და ასოციაციას შორის თანამშრომლობას განათლების, მეცნიერების და პროფესიული დასაქმების სფეროებში;

- დაეხმაროს სტუ-ს განვითარებაში, იყოს მისი ხელისშემწეობი, საქმიანობის შემფასებელი და მრჩეველი;
- ხელი შეუწეოს სტუ-ს საქმიანი ურთიერთობების ჩამოყალიბებას სხვადასხვა ორგანიზაციებთან როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ;
- გაუწიოს საინჟინრო სპეციალობებს ფართო პროპაგანდა სკოლის მოსწავლეებს შორის სტუ-ში სასწავლებლად მოსაზიდად და ა.შ.

8. სოციალური საკითხები, სპორტი, ხელოვნება

უნივერსიტეტის თანამშრომლებისა და სტუდენტების სოციალურ მდგომარეობაზე ზრუნვა უნდა იყოს ცენტრალური და ფაკულტეტის ადმინისტრაციების მუდმივი ყურადღების საგანი.

გასატარებელი ღონისძიებები:

- აკადემიური პერსონალის, ადმინისტრაციისა და სხვა ერთეულების თანამშრომელთა შრომის ანაზღაურების პერიოდული ზრდა;
- უნივერსიტეტის წარმატებული სტუდენტების სტიპენდიების ზრდა;
- თანამშრომელთა და სტუდენტთა ჯანმრთელობაზე ზრუნვა როგორც პოლიკლინიკური, ასევე სადაზღვევო ურთიერთობების ჩამოყალიბებით;
- საუნივერსიტეტო სპორტისთვის ხელშეწყობა სასპორტო ინფრასტრუქტურის განვითარების, სპორტკლუბების ჩამოყალიბებისა და ინვესტორების მოზიდვის გზით;
- სტუდენტთა და თანამშრომელთა ხელოვნების სხვადასხვა მიმართულებაში ჩაბმის სტიმულირება სახელოვნებო ინფრასტრუქტურის განვითარების გზით.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გრძელვადიანი განვითარების წარმოდგენილი სამოქმედო გეგმა, უპირველეს ყოვლისა, მიზნად ისახავს არა მარტო მისი სახელოვანი ტრადიციების აღდგენას, არამედ მათ თვისობრივად უფრო მაღალ დონეზე აყვანას, რაც, საბოლოოდ, უნდა გამოიხატოს უნივერსიტეტის საქმიანობის და ბოლონიის ამოცანების ჰარმონიზებაში.

თუ გავანალიზებთ ჩვენს მიერ დასმულ ამოცანებს და შევადარებთ მათ ბოლონიის ამოცანებს, ნათლად დავინახავთ, რომ დასახული სამოქმედო გეგმის შესრულებით, არა მარტო აღმოიფხვრება ნაპრალი ჩვენი უნივერსეტის დღევანდელ მდგომარეობასა და ბოლონიის პროცესს შორის, არამედ, 2011 წლისათვის ის გახდება ამ პროცესის სრულუფლებიანი, აქტიური და ანგარიშგასაწევი მონაწილე.